



ფინანსური აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი წესრიგისა და
უსაფრთხოების სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
სოფიო დვალიშვილი

ს. მკვირ

15 *2023* წელი

N *8/36*

გვ. N 1

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
2021 წლის კონსოლიდირებული ფინანსური
ანგარიშგების აუდიტი

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	მოსაზრება	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. სხვა გარემოებები	19
	3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	27
	კონსოლიდირებული ერთეულები	30
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	31
	საკონტაქტო ინფორმაცია	64

ტერმინები და შემოკლებები	სამინისტრო – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო აპარატი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური აპარატი „112“ – სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დაცვის პოლიციის დეპარტამენტი თბილისის პოლიციის დეპარტამენტი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი მომსახურების სააგენტო – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო სასაზღვრო პოლიცია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საქართველოს სასაზღვრო პოლიცია საპატრულო პოლიცია – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური სპეციფიკური დანიშნულების აქტივები – ანგარიშის მიზნებისთვის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები განხილულია, როგორც საბრძოლო მასალა, იარაღი, ტყვია-წამალი და სხვა მსგავსი ტიპის აქტივები სსპას – საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები ტერიტორიული ორგანო – შინაგან საქმეთა სამინისტროს ტერიტორიული ერთეული შსს-ს აკადემია – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია ჯანმრთელობის დაცვის სამსახური – სსიპ შსს ჯანმრთელობის დაცვის სამსახური
--------------------------	---

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო არის აღმასრულებელ ხელისუფლებას დაქვემდებარებული სამართალდამცავი დაწესებულებების სისტემა, რომლის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა, დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა გამოვლენა, აღკვეთა, გამოძიება და ანალიზი, აგრეთვე სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფა.

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს მმართველობის სფეროში იყო საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი, 11 ტერიტორიული ორგანო, 5 საჯარო სამართლის იურიდიული პირი და 2 სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2021 წლის დამტკიცებული/დაზუსტებული საბიუჯეტო სახსრების და ფაქტობრივად გაწეული ხარჯების შესახებ (ლარი)

დასახელება	თავდაპირველად დამტკიცებული	დაზუსტებული	% სხვაობა	საკასო
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	780,000,000	785,300,000	1% ¹	788,905,691 ²
მომუშავეთა რიცხოვნობა	30,500	-	-	-
ხარჯები	737,046,000	741,920,375	1%	744,681,918
მათ შორის: შრომის ანაზღაურება	525,200,000	526,615,880	0%	526,543,590
არაფინანსური აქტივების ზრდა	42,954,000	43,379,625	1%	44,223,773

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული და საკუთარი შემოსავლების ფარგლებში გაწეული გადასახდელების შესახებ(ლარი)

საბალანსო ერთეულის დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი შემოსავლები	ჯამი
სამინისტროს ცენტრალური აპარატი	279,143,369	-	279,143,369
სსიპ-დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	10,844,191	139,775,380	150,619,571
საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	118,083,847	-	118,083,847
სსიპ - შსს-ს მომსახურების სააგენტო	-	108,127,386	108,127,386
შსს-ს სსდ - სასაზღვრო პოლიცია	97,734,064	-	97,734,064
შსს-ს სსდ- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	88,436,601	528,603	88,965,204
თბილისის პოლიციის დეპარტამენტი	63,793,397	-	63,793,397
იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი	23,151, 552	-	23,151,552
სსიპ - საზოგადოებრივი მართვის ცენტრი „112“	-	21,390,013	21,390,013
შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი	17,036,292	-	17, 036,292
აჭარის პოლიციის დეპარტამენტი	16,911,942	-	16,911,942
სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი	16,544,052	-	16,544,052
ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი	14,130,853	-	14,130,853
კახეთის პოლიციის დეპარტამენტი	11,848,930	-	11,848,930
სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი	7,019,105	-	7,019,105
მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი	6,721,646	-	6,721,646
სსიპ - შსს-ს აკადემია	6 ,387,458	61,274	6,448,732
გურიის პოლიციის დეპარტამენტი	5,121,290	-	5,121,290
სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	4,184,897	432,361	4,617,258
აფხაზეთის პოლიციის დეპარტამენტი	1,812,206	-	1,812,206
ჯამი:	788,905,691	270,315,017	1,059,220,708

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

მოსაზრება

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების (ერთად – „ჯგუფის“)³ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, განმარტებით შენიშვნებს, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ შენიშვნებს⁴ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, აბზაცში – „უარყოფითი მოსაზრების საფუძველი“ აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის⁵ შესაბამისად.

¹ 2021 წელს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატს კორონა ვირუსის (COVID-19) საწინააღმდეგო ღონისძიებების დაფინანსების მიზნით StopCov ფონდიდან გამოეყო 300,000 ლარი.

² საკასო ხარჯები მოიცავს: მიზნობრივი გრანტის ხარჯებს – 4,083,517 ლარს, რომელიც არ აისახება გეგმაში და მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ თანხას – 5,000,000 ლარს (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 24 დეკემბრის N2333 განკარგულება).

3 იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის N24 ბრძანებით - „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესახებ“ ინსტრუქციით დამტკიცებული N1-N21 შენიშვნები.

⁵ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

1.1 მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და სხვა მოკლევადიანი აქტივები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მოთხოვნების მუხლი შეადგენს 93,313,775 ლარს, მათ შორის მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 58,684,836 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 34,628,939 ლარს. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა მოთხოვნებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 20,788,318 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი 2,078,513 ლარს.

ზემოაღნიშნული მოთხოვნებიდან, აუდიტის პროცესში იდენტიფიცირებულია 3,631,475 ლარის ოდენობით დებიტორული დავალიანებები, რომლებიც 1996-2009 წლამდე პერიოდს უკავშირდება და მათი დაფარვის ალბათობა დაბალია. მაგალითად:

-)/ 1,908,132 ლარის ოდენობის მოთხოვნა ირიცხება ლიკვიდირებული კომპანიების⁶ მიმართ;
-)/ 820,388 ლარის ოდენობის მოთხოვნები⁷ წარმოშობილია 1999-2009 წლებში და ხანდაზმულია, მათ შორის რამდენიმე კომპანიის⁸ საიდენტიფიკაციო კოდი არ იმეზება;
-)/ შსს-ს ცენტრალური აპარატის მიმართ 2003 წლიდან ირიცხება მოთხოვნა 201,407 ლარის ოდენობით, რომელსაც აპარატი არ ადასტურებს;
-)/ დაცვის პოლიციას სამშენებლო კომპანიის⁹ მიმართ აღიარებული აქვს მოთხოვნა 324,370 ლარის ოდენობით. დაკვეთით შესასრულებელი სამუშაოები კომპანიის მიერ ფაქტობრივად დასრულებულია¹⁰, თუმცა არ არის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი. შესაბამისად მოთხოვნების მუხლი 324,370 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი;
-)/ 169,048 ლარის მოთხოვნა ირიცხება ისეთი კომპანიების¹¹ მიმართ, რომლებზეც მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება;¹²
-)/ 208,130 ლარი წარმოადგენს სხვადასხვა წლებში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისს;¹³

⁶ შპს „ნიუ ენერჯი“ (ს/კ 205026559); შპს „ენერგო გენერაცია“ (ს/კ 204393307); სს „საქრუბეროიდი“ (ს/კ 226521163); სს „თბილსრესი“ (ს/კ 226521653).

⁷ კულტურის სამინისტრო, შპს „კახეთის პური“, შპს „ვაზისი“, შპს „ჩემპიონი 2004“, შპს „ფაიზი“, შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“. შპს „ინტერმშენი“, შპს „ვიპ ავიამშენი“, შპს „გოლდ ინვესტი“, შპს „საქმეტალი“, შპს „ვინჩესტერი“, ჯანდაცვის სამინისტრო.

⁸ შპს „ბორჯომის ცენტრალური პარკი“, შპს „კახეთის პური“, შპს „ჩემპიონი 2004“. შპს „ფაიზი“.

⁹ შპს „სავანე“, დებიტორული დავალიანება წარმოქმნილია 2003 წელს. სამინისტროს განმარტებით ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია არ შედგენილა, ხოლო აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარე პერიოდში ჩატარებული ექსპერტიზით შეუძლებელია განისაზღვროს შესრულებული სამუშაოების მოცულობები და ღირებულება.

¹⁰ აღნიშნული ფაქტი ასევე დასტურდება დეპარტამენტის 2014 წლის ინვენტარიზაციის აქტით.

¹¹ შპს „ომეგა-2“ (ს/კ 245422608); შპს „რუსთაველი“ (ს/კ 216291956); შპს „ბიოპლუსი“ (ს/კ 445389696); კულტურის, სპორტის და ტურიზმის სამინისტრო.

¹² საქმის წარმოება მიმდინარეობდა 2008-2014 წლებში.

¹³ 2008 წლიდან მიმდინარეობს გამოძიება.

-) ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია დაცვის მომსახურების გაწევიდან წარმოქმნილი, თანხობრივად შედარებით მცირე დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია 1996-2014 წლებში და ხანდაზმულია.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 8,101,747 ლარს, ხოლო სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 3,987,845 ლარს.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის კონტროლირებული ერთეულის სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული მოთხოვნებიდან:

-) 1991-2004 წლებში წარმოქმნილი 5,273,118 ლარის დავალიანების ხანდაზმულობიდან გამომდინარე, მათი ამოღების ალბათობა დაბალია. მათ შორის ზოგიერთი დებიტორი¹⁴ ლიკვიდირებულია ან არ იძებნება მოთხოვნის წარმოშობის დოკუმენტაცია;¹⁵
-) 510,338 ლარის დებიტორული დავალიანება¹⁶ დაკავშირებულია 1996-1999 წლებში გახარჯული მატერიალური რეზერვების შევსებასთან, რისთვისაც ბიუჯეტიდან არ გამოყოფილა რესურსი;
-) 467,234 ლარის მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკის განვითარების სამინისტროს მიმართ წარმოშობილია 1994 წელს, დავალიანების დაფარვის საკითხი დღემდე არ არის გადაწყვეტილი;
-) 1994 წელს წარმოშობილ 63,925 ლარის ოდენობის დებიტორულ დავალიანებასთან¹⁷ დაკავშირებით აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყვეტილია;¹⁸
- დაუმთავრებელი მშენებლობის სახით რიცხული 2,959,558 ლარის ქონება,¹⁹ 2019 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის საფუძველზე აღიარდა დანაკლისად. აღნიშნული ქონებით სსიპ-სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო არ სარგებლობს და ვერ აკონტროლებს აღნიშნულ აქტივს. შესაბამისად, „სხვა მოკლევადიანი მიმდინარე აქტივების“ ნაშთი 2,959,558 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი. საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განმარტებით, 2022 წელს დაუმთავრებელი მშენებლობის სახით რიცხული ქონება იქნა ჩამოწერილი.

¹⁴ ლიკვიდირებული დებიტორები ჯამური თანხით 4,684,374 ლარი: სს „რუსთავის მეტალურგიული კომბინატი“, ბათუმის თამბაქოს ფაბრიკა, სს „რუსთავის ქიმიკო“, მეტეხის ნავთობბაზა, „ცეკავშირის“ - ქუთაისის საწარმოო კომბინატი.

¹⁵ საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, ჯამური თანხა - 10,058 ლარი.

¹⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 17 ივნისის N371 ბრძანებულების მე-4 მუხლის 33-ე პუნქტის მიხედვით წარმოშობილი მოთხოვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ.

¹⁷ საქართველოს ყრუ-მუნჯთა საზოგადოების გორის სასწავლო საწარმო.

¹⁸ ბრალდებულის გარდაცვალების გამო.

¹⁹ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე არსებული 2 ერთეული შენობა-ნაგებობა. მშენებლობა დაიწყო 1990-იან წლებში, თუმცა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საკუთრების/სარგებლობის უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ არის. მიმდინარე მდგომარეობით და ქონების ეროვნული სააგენტოს წერილებით დასტურდება ქონების კერძო/სახელმწიფო საკუთრება.

სასაზღვრო პოლიციის მიერ მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში დებიტორული დავალიანების მუხლი შეადგენს 1,431,381 ლარს და სხვა მოკლევადიანი აქტივების მუხლი - 16,308,016 ლარს საიდანაც:

-) სასაზღვრო პოლიციის მიერ 2008 წელს ავანსის სახით ბიუჯეტში გადახდილი 500,000 ლარის მოთხოვნას²⁰ არ ადასტურებს²¹ შემოსავლების სამსახური;
-) სასამართლოს გადაწყვეტილებით,²² სასაზღვრო პოლიციას უარი ეთქვა 2007 წელს წარმოშობილი 758,987 ლარის დავალიანების²³ ამოღებასთან დაკავშირებით;²⁴
-) 429,962 ლარის მოთხოვნასთან²⁵ დაკავშირებით ვერ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტაცია საგამომიებო მოქმედებების წარმოების შესახებ;
-) 181,877 ლარის მოთხოვნების²⁶ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

„112“-ის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 5,625,283 ლარის დებიტორული დავალიანებიდან, სპეციალურ დაცულ (საჯარიმო) სადგომზე მექანიკურ სატრანსპორტო საშუალებათა დგომის საფასურის გადაუხდელობით წარმოქმნილი 3,169,549 ლარის ოდენობის დავალიანებასთან დაკავშირებით, პროგრამული ხარვეზის გამო ვერ იქნა წარმოდგენილი დებიტორების დეტალური ნუსხა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოთხოვნების მუხლში ასახული 93,313,775 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.

²⁰ მოთხოვნა წარმოქმნილია 2008 წელს და ორგანიზაციის საგადასახადო აღრიცხვის ბარათზე ავანსის თანხის არსებობა არ დასტურდება.

²¹ შემოსავლების სამსახურის 2018 წლის 16 ნოემბრის N21-11/141223 წერილი.

²² თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2019 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება საქმე N28/2661-18.

²³ ფიზიკურ პირს 2010 წელს სასამართლომ დააკისრა 758,987 ლარის გადახდა სასაზღვრო პოლიციის სასარგებლოდ, აღნიშნული პირის გარდაცვალების შემდგომ სასამართლომ მოვალის ოჯახის წევრები ვალდებულების უფლებამონაცვლედ არ ცნო.

²⁴ მოვალის გარდაცვალების გამო.

²⁵ დანაკლისის სახით ირიცხება 2007 წელს ჩამოვარდნილი შვეულმფრენი მი-2 N16 5210520028, რომელზედაც მიმდინარეობდა გამოძიება დამნაშავე პირების დასადგენად, თუმცა სასაზღვრო პოლიციაში არ იძებნება დოკუმენტაცია აღძრული სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით.

²⁶ სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველო, მოთხოვნა წარმოიშვა 2001 წელს ანგარიშვალდებული პირების მიმართ, საკვები პროდუქტების მიწოდებასთან დაკავშირებით; სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 და N10 სამმართველოები: მოთხოვნა წარმოიშვა 2005 წელს სალაროდან მოპარულ პირად შემადგენლობაზე - გასაცემი ხელფასი და ფულადი კომპენსაცია.

1.2 ვალდებულებები

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ვალდებულებების ნაშთი შეადგენს 42,496,897 ლარს. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ვალდებულებებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 4,847,498 ლარის ოდენობის კრედიტორული დავალიანებიდან, 1,413,333 ლარის დავალიანება²⁷ წარმოშობილია 1999-2005 წლებში. ხოლო, 2012 წლამდე წარმოშობილ 1,261,614 ლარის დავალიანებაზე²⁸ ვალდებულებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ მოიპოვება.²⁹

სასაზღვრო პოლიციის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 3,148,050 ლარის ოდენობის ვალდებულებებიდან, 3,048,823 ლარის დავალიანება (97%) წარმოშობილია 1996-2005 წლებში, საიდანაც 1,277,277 ლარის დავალიანების³⁰ წარმოშობის დოკუმენტაცია ორგანიზაციაში არ იძებნება.

აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 21,988,647 ლარის დავალიანებიდან, 1,432,160 ლარი წარმოადგენს 2000-2003 წლებში დარიცხული გადასახადებით წარმოქმნილ მოკლევადიან დავალიანებებს.³¹

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით თანამშრომელთა მკურნალობის ხარჯების დაფარვის მიზნობრიობით გაცემული და აუნაზღაურებელი გარანტიების თაობაზე. აღნიშნულ გარანტიებს აქვთ შეუზღუდავი მოქმედების ვადა³², შესაბამისად, სამსახურს შესაძლოა ნებისმიერ საანგარიშო პერიოდში მოუწიოს მათი ანაზღაურება, რომლის დაფინანსებაც უნდა მოხდეს შესაბამისი წლის დამტკიცებული ბიუჯეტის/ასიგნების ფარგლებში.

ვინაიდან, სამსახურში არ არის დანერგილი ფინანსური გარანტიების სააღრიცხვო სისტემა და არ არის შემუშავებული მათი სააღრიცხვო პოლიტიკა, სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში “კრედიტორული დავალიანების” და “მიმდინარე ანარიცხების” ნაშთები შესაძლოა არ ასახავდეს მათ რეალურ ოდენობას, თუმცა ჩვენ ვერ შევძელით ფინანსურ ანგარიშგებაზე უზუსტობების გავლენის შეფასება.

სსიპ ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის განმარტებით, 2022 წლიდან განისაზღვრა ანაზღაურებად გარანტიებზე მოქმედების ვადა.

²⁷ მომუშავეთათვის დარიცხული გაუცემელი ხელფასები, წინა პერიოდის გაურვეველი ნაშთები.

²⁸ გადავადებული მოგების გადასახადი, სოციალური დაზღვევის ანარიცხები, საშემოსავლო გადასახადით წარმოქმნილი კრედიტორული დავალიანებები.

²⁹ 57 469 ლარის დავალიანებაზე შსს-ს გენერალურმა ინსპექციამ და შსს-ს კონტრაზვერვის დეპარტამენტმა დაიწყო გამოძიება, თუმცა 2008 წლის 25 ივლისს, მტკიცებულებების არ არსებობის გამო, გამოძიება შეწყდა.

³⁰ ვალდებულებები დეპონენტების მიმართ, შტატით მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასები და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N1 სამმართველოს ბალანსზე რიცხული სხვადასხვა დავალიანება; „სამხედრო ჰოსპიტალი“, შპს „თბილისი-9“, შპს „ბათუმის ნავთობბაზა“.

³¹ გადასახდელი დღგ (სამთო მაშველი) -729 029 ლარი; სხვა დანარჩენი მოკლევადიანი (მიმდინარე) კრედიტორული დავალიანებები საბიუჯეტო წლის ფარგლებში - 703,131 ლარი.

³² ჩვენს მიერ შესწავლილ უმეტეს შემთხვევაში არ იყო დაკონკრეტებული გარანტიის მოქმედების ვადა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ვალდებულებების მუხლში ასახული 42,496,897 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.

1.3 მატერიალური მარაგები

სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ირიცხება „მატერიალური მარაგები“ 3,885,663 ლარის ოდენობით, რომლებიც არ გამოიყენება, ხმარებიდან ამოღებულია და მათგან ეკონომიკური სარგებლის მიღება ნაკლებად მოსალოდნელია. კერძოდ:

1.3.1 გამოყენებული ქონება

სასაზღვრო პოლიციის, დაცვის პოლიციის, აპარატის, საპატრულო პოლიციის და ტერიტორიული ორგანოების³³ ბალანსებზე, 2021 წლის საწყის და საბოლოო ნაშთებად უცვლელად ირიცხებოდა, შესაბამისად, 1,022,953 ლარის, 1,250,353 ლარის, 1,052,337 ლარის,³⁴ 373,928 ლარის და 186,258 ლარის მატერიალური მარაგები,³⁵ რომელთაგან შემდგომი სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები აქტივების შემდგომი ეფექტიანი განკარგვის მიზნით.

სპეციფიკური დანიშნულების აქტივების³⁶ ღირებულების გარეშე აღრიცხვა,³⁷ ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელ საერთო ნაკლოვანებას წარმოადგენს.

1.3.2 ნულოვანი ღირებულებით ასახული მატერიალური მარაგები

სამინისტროს სისტემაში, მათ შორის აპარატის, დაცვის პოლიციის და სასაზღვრო პოლიციის ანგარიშგებაში, ირიცხება სხვადასხვა დასახელების მნიშვნელოვანი ოდენობის სპეციფიკური დანიშნულების აქტივები³⁸ და სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ნულოვანი ღირებულებით არის ასახული. ასევე **ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის** ბალანსზე სამედიცინო დანიშნულების აქტივები³⁹ ღირებულების გარეშე აღრიცხული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდით სამინისტროს ბალანსზე რიცხული მატერიალური მარაგების ნაშთის სიზუსტეში და შეუძლებელია განისაზღვროს უზუსტობის გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე.

³³ ქ.თბილისის, კახეთის, მცხეთა-მთიანეთის და ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტები.

³⁴ საიდანაც, სამინისტროს მიერ 2022 წელს ჩამოიწერა 130,168 ლარის მატერიალური მარაგი.

³⁵ შეცვლილი დიზაინის გამო ხმარებიდან ამოღებული უნიფორმები, მოძველებული ტექნიკა და სხვა.

³⁶ იარაღი, საბრძოლო მასალა.

³⁷ 2022 წელს სამინისტროს აპარატის მიერ განხორციელდა შეფასების ღონისძიებები, თუმცა ექსპერტიზის დასკვნის მიხედვით შეუძლებელია 2005 წლამდე წარმოშობილი სპეციფიკური აქტივების ღირებულების განსაზღვრა, რადგან ბაზარზე ანალოგი ვერ მოიძებნა. ხოლო, 2005 წლის შემდგომ შეძენილი საბრძოლო მასალა ირიცხება კომპლექტის ღირებულებით.

³⁸ აპარატს აქტივები აღრიცხული აქვს საცნობარო მუხლებში ღირებულების გარეშე. გახარჯული მარაგების შესახებ ინფორმაცია ბუღალტერიას მიეწოდება მათი დასახელების და რაოდენობის მითითებით.

³⁹ 445,149 ცალი მრავალჯერადი გამოყენების მარლის პირბადე, 16,900 ცალი სამედიცინო პირბადე.

1.3.3 ინვენტარიზაციით გამოვლენილი დანაკლისი და ზედმეტობა

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 10,904,171 ლარის „მატერიალური მარაგები“, რომლის სისწორესთან დაკავშირებით ვერ მივიღეთ სათანადო რწმუნება.

სამსახურში 2019 წელს დაწყებული ინვენტარიზაციის შუალედური შედეგების ოქმების⁴⁰ მიხედვით, დაფიქსირებულია არაფინანსური აქტივების დანაკლისი და ზედმეტობა, კერძოდ:

თბილისში არსებული N1 საწყობის ინვენტარიზაციის შედარების აქტით გამოვლინდა 1,017,705 ლარის დანაკლისი და 597,965 ლარის ზედმეტობა. ბუღალტრულად აღრიცხულია 339,571 ლარის დანაკლისი⁴¹, აღსანიშნავია, რომ სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგებზე ინფორმაცია⁴² მიაწოდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. ობიექტის განმარტებით, ინვენტარიზაციის შედეგები აისახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, და სხვა შესაბამისი რეაგირება განხორციელდება ინვენტარიზაციის დასრულების შემდგომ, ვინაიდან არსებობს ალბათობა, რომ გამოვლენილი აქტივების დანაკლისი იდენტიფიცირებულ იქნეს ობიექტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მატერიალური მარაგების მუხლში ასახული 149,775,855 ლარის საბოლოო ნაშთის სისრულეზე, სიზუსტესა და არსებობაზე.

⁴⁰ საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმები: N15008, - 06/02/2019წ; N257465, -31/01/2020წ; N452361,-24/02/2021წ.

⁴¹ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განმარტებით, აღნიშნული გამოწვეულია იმით, რომ კომისიამ იმსჯელა გამოვლენილ სხვაობებზე და აღმოჩენილ იქნა გასავლის ზედდებულები სამმართველოების ერთმანეთთან შედარებით, ხოლო, დანარჩენი დანაკლის-ზედმეტობის სახით გამოვლენილი ქონება, შეფასების და შესაბამისი ღირებულებით ბალანსში ასახვის მიზნით, გაგზავნილია სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში.

⁴² სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის გაგზავნილი წერილი N03023858 09/11/2019 და წერილი N01913926 22/07/2021.

1.4 ძირითადი აქტივები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების მუხლი შეადგენს 1,343,086,322 ლარს. სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გამოვლინდა ძირითად აქტივებთან დაკავშირებული სხვადასხვა ნაკლოვანება, კერძოდ:

1.4.1 სპეციფიკური დანიშნულების აქტივები

სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში სპეციფიკური დანიშნულების აქტივების ნაწილი აღრიცხული აქვს მხოლოდ რაოდენობრივად, ხოლო ღირებულებით რიცხულ სპეციფიკური დანიშნულების აქტივებს⁴³ ცვეთა არ ერიცხება იმის გამო, რომ მარეგულირებელი ნორმებით და სამინისტროს სააღრიცხვო პოლიტიკით ამორტიზაციის კოეფიციენტი არ არის დადგენილი. აღსანიშნავია, რომ ეს საკითხი ძალოვანი უწყებებისთვის დამახასიათებელი საერთო ხასიათის პრობლემაა. სამინისტროს განმარტებით, 2022 წელს დადგინდა ცვეთის კოეფიციენტები⁴⁴ და მიმდინარეობს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება.

1.4.2 ნულოვანი ღირებულებით აღრიცხული ქონება

აპარატში 2018 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილი შენობა-ნაგებობები⁴⁵ და მიწა,⁴⁶ ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება ნულოვანი ღირებულებით. სამინისტროს განმარტებით, ქონების შეფასების სამუშაოები მიმდინარეობს ეტაპობრივად და დიდი მოცულობის გამო, პროცესი გარკვეულ დროს მოითხოვს. 2021 წელს დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ქონების შეფასების მიზნით⁴⁷.

დაცვის პოლიციის მიერ ღირებულების გარეშე აღრიცხული მიწის ნაკვეთები⁴⁸ და სხვადასხვა სახის მცირეფასიანი ძირითადი აქტივები.⁴⁹

სასაზღვრო პოლიციის მიერ ღირებულების გარეშე არის აღრიცხული 8 ერთეული⁵⁰ ძირითადი აქტივი და მათ სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთები.⁵¹ სასაზღვრო პოლიციის განმარტებით, მიმდინარეობს აქტივების შეფასების ღონისძიებები.

სასაზღვრო პოლიციის დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიშზე ირიცხება 586,572 ლარი, რომელიც წარმოშობილია სარემონტო სამუშაოებისა და ადმინისტრაციული მშენებლობის დაუსრულებლობით. კერძოდ, კომპანია⁵² ხელშეკრულებით ნაკისრი სამშენებლო-სარემონტო ვალდებულებები ვერ შეასრულა. შედეგად, 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივების“ ნაშთი 586,572 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

⁴³ მაგალითად, დაცვის პოლიციისა და სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე რიცხული საბრძოლო აღჭურვილობა და იარაღი, საბალანსო ღირებულებით - 1,663,209 ლარი და 1,827,227 ლარი.

⁴⁴ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2022 წლის 3 ნოემბრის N1/483 ბრძანება.

⁴⁵ სხვადასხვა ტერიტორიაზე განთავსებული 240 დასახელების ობიექტი.

⁴⁶ სამი ერთეული, ჯამური ფართობი 26,332 კვ.მ.

⁴⁷ შსს-ს ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 9 მარტის წერილი N: MIA 0 21 00 559328.

⁴⁸ დაახლოებით 10,804 კვ.მ ფართი.

⁴⁹ 265 დასახელების საოფისე ტექნიკა და მოწყობილობები.

⁵⁰ 5 ერთეული კატარა აშშ-ს გრანტის ფარგლებში გადმოცემული. ღირებულების გარეშე აღრიცხული 3 ერთეული საფრენი აპარატი და ძრავი, მათგან პირველი საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

⁵¹ 606,516 კვ.მ. ფართი.

⁵² შპს "ქოლორი" - ლილოს კინოლოგია ხელშ. #242 07.08.2008წ.

1.4.3 გამოუყენებელი ძირითადი აქტივები

დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითად აქტივად“ ირიცხება შენობა-ნაგებობაზე⁵³ კაპიტალიზირებული 293,139 ლარის საპროექტო სამუშაოები და 208,700 ლარის⁵⁴ ღირებულების მიწა, ჯამურად - 501,839 ლარი, საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი, ვინაიდან დეპარტამენტი უძრავი ქონებით არ სარგებლობს.

დაცვის პოლიციაში ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა სხვადასხვა დასახელების მცირეფასიანი აქტივი, რომლებიც ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება ნულოვანი⁵⁵ ღირებულებით, საიდანაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელი არ არის.

სასაზღვრო პოლიციის 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „ძირითადი აქტივად“ ირიცხება 222 ავტოსატრანსპორტო საშუალება, საიდანაც, 36 აქტივის საბალანსო ღირებულება შეადგენს 305,080 ლარს, ხოლო დანარჩენი ნულის ტოლია. აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალებები ტექნიკურად გაუმართავ მდგომარეობაშია⁵⁶ და მათი ექსპლუატაცია მიზანშეწონილი არ არის.

სასაზღვრო პოლიციის ბალანსზე 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხება 9 ერთეული⁵⁷ 40,411,641 ლარის საბალანსო ღირებულების აქტივი, რომლებიც განხორციელებული ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, ტექნიკურად გაუმართავი და მოძველებულია, შესაბამისად სასაზღვრო პოლიცია მათ ვერ იყენებს და სახეზეა გაუფასურების ნიშნები.⁵⁸ აქტივები ხანდაზმულობიდან გამომდინარე საჭიროებს კაპიტალურ რემონტს.

სასაზღვრო პოლიციაში 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 829,336 ლარის ძირითადი საშუალებები⁵⁹ და 1,196,785 ლარის- შენობა-ნაგებობები,⁶⁰ საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი. სასაზღვრო პოლიციის განმარტებით, ორგანიზაციაში დაწყებულია აქტივების ჩამოწერის და შემდგომი განკარგვის ღონისძიებები.⁶¹

საპატრულო პოლიციაში 2021 წელს განხორციელებული ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლინდა ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარი 530,339 ლარის ძირითადი საშუალებები⁶², საიდანაც სარგებლის მიღება არ არის მოსალოდნელი

⁵³ ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N72 - შენობა გადაეცა სხვა სახელმწიფო უწყებას.

⁵⁴ მიწის ნაკვეთი ქ. რუსთავის შესასვლელი 2018წ. ს/კ 81.05.13.572.

⁵⁵ ცეცხლსასროლი იარაღი და აღჭურვილობა - დაზიანებული - 1735 ცალი და საბრძოლო აღჭურვილობა - 1011 ცალი.

⁵⁶ 208 ავტოსატრანსპორტო საშუალება დალუქულია გენერალური ინსპექციის მიერ.

⁵⁷ მათ შორის, 3 ერთეული საფრენი აპარატი ნულოვანი ღირებულებითაა ასახული.

⁵⁸ სასაზღვრო პოლიციის განმარტებით, აღნიშნული დაკავშირებულია შევასების სირთულეებთან.

⁵⁹ საინჟინრო-ტექნიკური საშუალებები; საოფისე-საყაზარმე ინვენტარი; შეიარაღებისა და საბრძოლო მასალები, სანივთე ქონება.

⁶⁰ ლაგოდები, სანაპირო დაცვა, წითელი ხიდი, ბათუმი, დედოფლისწყარო და ახალციხე - არასაცხოვრებელი შენობები.

⁶¹ აქტივების ჩამოწერის შესახებ სასაზღვრო პოლიციის უფროსის ბრძანებები: N115, 05/05/2022; N 197, 08/07/2022; N 212, 21/07/2022; N 219, 04/08/2022; N 349, 22/12/2022 წ., რომლებთა საფუძველზეც ჩამოწერილია ძირითადი აქტივები და სამხედრო დანიშნულების ქონება.

⁶² პლანშეტური კომპიუტერები, საოფისე ტექნიკა და სხვ.

1.4.4 ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

ტერიტორიული ორგანოების⁶³ ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული 3,398,661 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივები - შენობა-ნაგებობები და ავტოსატრანსპორტო საშუალებები სრულად ამორტიზებული და ექსპლუატაციისთვის გამოუსადეგარია

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 2019 წელს დაწყებული ქონების ინვენტარიზაციის საბოლოო შედეგების ოქმი არ არის შედგენილი და შესაბამისად, ძირითადი აქტივების ნაშთებთან დაკავშირებით ინვენტარიზაციით გამოვლენილი შედეგების აღიარება და ბუღალტრული ნაშთების კორექტირება განხორციელდება პროცესის დასრულების შემდგომ. აღსანიშნავია, რომ:

- ⌋ ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 15 ერთეული ავტოსატრანსპორტო⁶⁴ საშუალების ზედმეტობა.
- ⌋ სამსახურის მასშტაბით შესაბამისი სამმართველოების⁶⁵ ბალანსზე რიცხული არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირდა 5,160,840 ლარის დანაკლისი და 417,725 ლარის ზედმეტობა;
- ⌋ სამსახურის ბალანსზე რიცხულ უძრავ ქონებაზე გამოვლინდა შეუსაბამოებები, კერძოდ: 36 ერთეული სახანძრო-სამაშველო ობიექტი ექსპერტის დასკვნის მიხედვით უვარგისია შემდგომი ექსპლუატაციისათვის, 62 ერთეული საჭიროებს კაპიტალურ სარემონტო სამუშაოებს. შესაბამისად სამსახურის ბალანსზე რიცხული სახანძრო-სამაშველო ობიექტების 74% საჭიროებს რეაბილიტაციას, ხოლო 4 სტრუქტურული ერთეულის უძრავი ქონება სარგებლობის უფლების გარეშეა წარმოდგენილი.

საგულისხმოა, რომ სამსახურმა ინვენტარიზაციის შედეგებზე ინფორმაცია⁶⁶ მიაწოდა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას. სამსახურის განმარტებით, ინვენტარიზაციის შედეგების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში, ასევე საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამისი რეაგირება განხორციელდება ინვენტარიზაციის დასრულების და საბოლოო შედეგების შემაჯამებელი ოქმის მომზადების შემდგომ, ვინაიდან არსებობს ალბათობა, რომ გამოვლენილი აქტივების დანაკლისები იდენტიფიცირებულ იქნეს სამინისტროს ან სამსახურის სხვა საწყობებსა თუ სტრუქტურულ ერთეულებში.

1.4.5 სრულად ამორტიზირებული ძირითადი აქტივები

ძირითადი აქტივები შესაბამისად, „აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს,“ და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, რაც განხორციელებული არ არის. კერძოდ,

⁶³ შიდა ქართლი, ქვემო ქართლი, სამცხე-ჯავახეთის და სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტები.

⁶⁴ სატრანსპორტო, მისაბმელი და წყალზე მცურავი საშუალებები.

⁶⁵ 7 რეგიონალური სამმართველო სამეგრელო-ზემო სვანეთი, სამცხე-ჯავახეთი, იმერეთი, კახეთი, აჭარა, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი - (საოფისე ტექნიკა და ავეჯი).

⁶⁶ სამინისტროს გენერალური ინსპექციისათვის გაგზავნილი წერილები: N03023858 (09/11/2019) და N01913926 (22/07/2021).

დაცვის პოლიტიკის ფინანსურ ანგარიშგებაში ირიცხება 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ცვეთის დარიცხვის შედეგად სრულად ამორტიზებული 12,649 დასახელების ძირითადი აქტივი, ასევე ნულთან მიახლოებული ღირებულების 97 ცალი, 186,642 ლარის ღირებულების აქტივი, რომელთაც დაცვის პოლიცია კვლავ იყენებს.

აპარატის ანგარიშგებაში რიცხული 200 სატრანსპორტო საშუალების საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 2,496,012 ლარს. 2021 წელს აღნიშნული აქტივები ცვეთის დარიცხვის შედეგად, სრულად იქნა ამორტიზებული. აქტივები აპარატის მიერ კვლავ გამოიყენება.

მომსახურების სააგენტოს წლის ბოლოს არ გადაუსინჯავს სასიცოცხლო მომსახურების ვადები ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებებსა და მცირეფასიან აქტივებზე, რომელთა საბალანსო ღირებულება 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენს 219.350 ლარს და 2021 წლის ბოლოს ცვეთის დარიცხვის შედეგად სრულად იქნა ამორტიზებული.

საპატრულო პოლიტიკის ბალანსზე ირიცხება 1,278,661 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივი, რომელსაც არ აქვს განსაზღვრული მომსახურების ვადა, შესაბამისად, არ ირიცხება ცვეთა.

სამინისტროს განმარტებით, აღნიშნული დაკავშირებულია შეფასებისა და სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრის სირთულეებთან, რომლის შეფასებაზეც უარს აცხადებს სხვადასხვა ექსპერტი.

1.4.6 აქტივების გადაფასება

2021 წლის ბოლოს **სსიპ-ების** მიერ ანგარიშგებაში რიცხული 1090 ერთეული სატრანსპორტო საშუალებიდან, 481 ერთეული აღრიცხულია გადაფასებული ღირებულებით,⁶⁷ ხოლო დანარჩენი - თვითღირებულებით, რაც არ შეესაბამება ფინანსური ანგარიშგების წადგენის საფუძვლების მოთხოვნას,⁶⁸ რომლის მიხედვით, ერთ ჯგუფში შემავალი ძირითადი აქტივებისთვის უნდა გამოიყენებოდეს შეფასების ერთი და იგივე მოდელი, რომელსაც აქტივი მიეკუთვნება. აღნიშნული მოთხოვნა აქტივების გადაფასებასთან დაკავშირებით სსიპ-ების მიერ 2021 წელს გათვალისწინებული არ იყო.

ცხრილი N3. სსიპ-ების მიერ სატრანსპორტო საშუალებების გადაფასება

ორგანიზაციის დასახელება	ფ/ა-ში რიცხული რაოდენობა	გადაფასებული რაოდენობა	გაზრდილი ღირებულება
დაცვის პოლიცია	652	254	3,104,960
მომსახურების სააგენტო	353	152	1,758,960
„112“	78	75	671,181

⁶⁷სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ-ების მიერ ნაწილი ავტომანქანების შეფასდა საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით, ავტომანქანების გადაფასების შედეგები აისახა ფინანსურ ანგარიშგებაში და გაიზარდა 5,685,642 ლარით.

⁶⁸ სსბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა, პუნქტი 92.

სსბასს 17, პუნქტი 51.

სამინისტროს განმარტებით, 2022 წლიდან აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდით სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების საბოლოო ნაშთის 1,343,086,322 ლარის ოდენობით არსებობაში, სისრულესა და სიზუსტეში.

1.5 არამატერიალური აქტივები

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ნაშთად ირიცხება 11,831,444 ლარის ღირებულების მქონე არამატერიალური აქტივები.

სამინისტროს დაქვემდებარებულ სტრუქტურულ ერთეულებში არ არის სათანადოდ დასაბუთებული არამატერიალურ აქტივებზე მინიჭებული სასიცოცხლო მომსახურების ვადების განსაზღვრის საკითხი, ზოგიერთ არამატერიალურ აქტივზე სასარგებლო მომსახურების ვადად განსაზღვრულია 10 წელი⁶⁹. კერძოდ:

დაცვის პოლიციის ბალანსზე რიცხული 628,911 ლარის არამატერიალური აქტივებიდან, ცვეთა 10 წლის ვადით ერიცხება უვადო ლიცენზიების მქონე 564,362 ლარის ღირებულების არამატერიალურ აქტივებს.

საპატრულო პოლიციის და აპარატის მიერ ბალანსზე რიცხული განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე 2,550,121 ლარის არამატერიალური აქტივები⁷⁰ არ არის შემოწმებული გაუფასურებაზე⁷¹, რის გამოც შესაძლოა არასწორად იყოს წარმოდგენილი არამატერიალური აქტივების რეალური საბალანსო ღირებულება. 2022 წელს სამინისტროს აპარატმა მიმართა არამატერიალური აქტივების საბაზრო ღირებულების დადგენის მიზნით სსიპ - ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს რომლის მიერ ვერ იქნა მოძიებული საბაზრო ღირებულება.⁷²

მომსახურების სააგენტოს ბალანსზე ირიცხება ცვეთის და ამორტიზაციის შედეგად განუღებელი სხვადასხვა დასახელების არამატერიალური აქტივები, რომლებზეც წლის ბოლოს გაუფასურების ტესტირება არ ჩატარებულა, თუმცა, აღნიშნული პროგრამები. სააგენტოს მიერ გამოიყენება.⁷³

⁶⁹ სსბასს 31

⁷⁰ საპატრულო პოლიციისთვის განკუთვნილი 1,263,200 ლარის სამხრე კამერების პროგრამული უზრუნველყოფა. აპარატის ბალანსზე რიცხული 1,286,921 ლარის ვიდეო-რგოლები, მხატვრული-დოკუმენტური ფილმები, რომელთაც არ აქვს განსაზღვრული ვადა და შესაძლებელია ნებისმიერ დროს მისი გამოყენება.

⁷¹ სსბასს 21, პუნქტი 26ა; სსბასს 31 - „არამატერიალური აქტივები“, მუხლი 87.

⁷² წერილი: N5009027622; 28/12/2022.

⁷³ საგამოცდო პროგრამა NEO INFORMATION SYSTEMS CO. LTD -მართვის მოწმობის მისაღები გამოცდისთვის; პროგრამა "DEVELOPER EXPRESS INC.

„112“-ში არ არის შემუშავებული შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა.⁷⁴ სხვადასხვა დასახელების პროგრამულ უზრუნველყოფებს „112“ იყენებს საკუთარი მიზნების და ფუნქციების შესასრულებლად, თუმცა აქტივები არ არის შეფასებული და ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო, რამდენიმე საინფორმაციო პროგრამა, რომლის შესყიდვის ღირებულება 360,580 ლარია,⁷⁵ არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, არ არის განსაზღვრული მომსახურების ვადები და არ ერიცხება ცვეთა.

შედეგად, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების საბოლოო ნაშთის - 11,831,444 ლარის სისრულესა და სიზუსტეზე.

1.6 შემოსავლები

1.6.1 „112“-ის

მომსახურების

საფასური

მოქმედი კანონმდებლობით⁷⁶, „112“-ის მომსახურების საფასურის გადამხდელები არიან სატელეფონო მომსახურების მიმღები აბონენტები, ვისგანაც თანხების ამოღება ხორციელდება ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურების მიმწოდებელი პირების მეშვეობით (შემდგომ - ოპერატორი). ამოღებული თანხები ოპერატორების მიერ ყოველთვიურად ირიცხება „112“-ის ანგარიშზე. შემოსავლების მიღებისა და აღრიცხვის პროცესი ხასიათდება სხვადასხვა ნაკლოვანებით, კერძოდ:

) მომსახურების საფასურის გაანგარიშება ხდება ოპერატორი ქსელების საბილინგო სისტემაში, რომელზეც ორგანიზაციას წვდომის და შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმების უფლება არ აქვს. მომსახურების საფასურის გაანგარიშების მაკონტროლებელ ორგანოა საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია, რომლისთვისაც „112“-ს 2021 წელს საბილინგო სისტემის შემოწმების მიზნით არ მიუმართავს.

მომსახურების საფასურის დარიცხვის შედეგად წარმოშობილი დებიტორული დავალიანებიდან, ექვსი ოპერატორის მიმართ რიცხული მოთხოვნის ნაშთი შეადგენს 2,341,241 ლარს, საიდანაც 1,211,639 ლარის დავალიანებაზე⁷⁷ ორ ოპერატორ კომპანიასთან⁷⁸ წლის ბოლოს შედარების აქტი არ გაფორმებულა.⁷⁹

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „112“-ს მომსახურების საფასურის ფორმირების სისტემა სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს შემოსავლებისა და მოთხოვნების სისწორესა და სიზუსტეს.

⁷⁴ სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით. ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის წერილი სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

⁷⁵ AWARE. Offender Managment System -ელექტრონული სისტემის (ელექტრონული სამაჯური და მიმღები აპარატი) საშუალებით მოძალადის/ მსხვერპლის მონიტორინგი ; ბუღალტრული აღრიცხვის საბილინგო პროგრამა - FMG SOFT.

⁷⁶ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 30 დეკემბრის N660 დადგენილება - „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის“ მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“.

⁷⁷ მათ შორის, 525,392 ლარის მოთხოვნა 2019 წლიდან ირიცხება უცვლელად.

⁷⁸ სს „სილქნეტი“; შპს „სითი ტელეკომი“.

⁷⁹ ოპერატორი ქსელებიდან მიღებული შემოსავლების დარიცხვა ხდება მათ მიერ წარმოდგენილი ფორმების საფუძველზე, ხოლო ჩარიცხვა ხორციელდება ამოღებული თანხების ოდენობით („საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-ის მომსახურების სახეების, საფასურებისა და ვადების დამტკიცების შესახებ“ მთავრობის N660 დადგენილების თანახმად). შესაბამისად, დებიტორულ დავალიანებად აღიარების თანხას შეადგენს დარიცხვასა და ჩარიცხვას შორის სხვაობა. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ოპერატორი (სს „სილქნეტი“, შპს „სითი ტელეკომი“) არ ეთანხმება შედარების აქტს და შიდა პოლიტიკაზე დაყრდნობით არ აღიარებს დებიტორულ დავალიანებას.

1.6.2 მომსახურების სააგენტოს - IT ზოგადი და აპლიკაციის კონტროლების შეფასება

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული 14,231,665 ლარის⁸⁰ შემოსავლების სიზუსტესა და სისრულეზე.

IT გარემოს მიმართულებით არსებული ნაკლოვანებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ ადმინისტრირებული აპლიკაციების კონტროლების ეფექტიანობაზე, სანდოობაზე და დამუშავებული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეზე. კერძოდ:

აუდიტის მიზნებისთვის შერჩეულ იქნა აპლიკაცია,⁸¹ რომელიც მომველებულია და არ განახლებულა. მიუხედავად იმისა, რომ აპლიკაციის მომხმარებელთა რაოდენობა მცირეა, მნიშვნელოვან ნაკლოვანებას წარმოადგენს პრივილეგირებული მომხმარებლის მიერ განხორციელებული ქმედებების აღრიცხვის არ არსებობა. აღნიშნული გარემოება, წარმოშობს განხორციელებული ცვლილებების შეუმჩნეველობის და მიკვლევადობის რისკებს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მომსახურების სააგენტოს საბილინგე სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს შემოსავლები სისწორესა და სიზუსტესთან დაკავშირებული რისკების შემცირებას

1.6.3 შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით

სამინისტროში არ არის შემუშავებული ერთგვაროვანი პრაქტიკა ჯარიმების აღრიცხვასთან დაკავშირებით. კერძოდ, სამინისტრო აჯარიმებს პირებს, როგორც ხელშეკრულების პირობების დარღვევის, ასევე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართლებრივი ნორმების მოთხოვნათა დარღვევის გამო. ორივე შემთხვევაში დაჯარიმებული პირების მიერ ჯარიმის თანხების გადახდა ხორციელდება ხაზინის ერთიან ანგარიშზე.

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს მხოლოდ მიმწოდებელი კომპანიების მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შედეგად წარმოშობილი 4,507,745 ლარის შემოსავალი, ხოლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მიხედვით გამოწერილი ჯარიმები⁸² ასახული არ არის.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში ასახული 4,507,745 ლარის შემოსავლების სიზუსტეზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მოვიპოვეთ რწმუნება სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლის - შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებით 195,160,057 ლარის და მუხლის - შემოსავლები სანქციებითა და ჯარიმებით - 4,507,745 ლარის სისრულესა და სიზუსტეზე.

⁸⁰ დარიცხული შემოსავალი, დღ-ის გარეშე.

⁸¹ ფინანსური აუდიტის მიზნებისთვის შერჩეული იქნა - BillingReciept (<https://reciept.sa.ge>) ვებ-აპლიკაცია.

⁸² მაგალითად, 2021 წელს საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო, ვიდუოჯარიმებით ბიუჯეტის სასარგებლოდ ჩარიცხულმა თანხამ 33,896,634 ლარი შეადგინა, სასაზღვრო პოლიციის მიერ - სახელმწიფო საზღვარზე გამოვლენილი სამართალდარღვევების შედეგად ბიუჯეტის სასარგებლოდ ჯარიმის სახით დაკისრებულმა თანხამ - 602,592 ლარი.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი წინამდებარე ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად, ჩვენ ვართ ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. სხვა გარემოებები

2.1 ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია

სამინისტროს 2021 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ელიმინირებული დაცვის პოლიციის დეპარტამენტს და სამინისტროს სხვა დაქვემდებარებულ უწყებებს შორის 2021 წელს განხორციელებული 526,495 ლარის ოპერაციები⁸³, შესაბამისად კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები 526,495 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

2.2 სააღრიცხვო სისტემა

საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიერ 2021 წლის ბუღალტრული ინფორმაცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის და მისი გამოყენების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 15 იანვრის N17 ბრძანებით დამტკიცებული ანგარიშთა გეგმის კლასიფიკაციის მიხედვით არ არის მომზადებული⁸⁴. დეპარტამენტის განმარტებით, 2022 წლიდან აღნიშნული ხარვეზი გამოსწორებულია.

ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის სისტემაში ფუნქციონირებს პოლიკლინიკა (სამმართველო), რომლის ფუნქციას წარმოადგენს მოსამსახურეთა სამედიცინო და სამკურნალო-დიაგნოსტიკურ ღონისძიებათა უზრუნველყოფა. პოლიკლინიკის კაბინეტების სამკურნალო საშუალებებით, სახარჯი და ლაბორატორიული მასალებით, აგრეთვე ცალკეული სამედიცინო ქონებით უზრუნველყოფა, მოთხოვნის შესაბამისად, ხორციელდება სამსახურის სისტემაში შემავალი აფთიაქის მიერ.

სამსახურს არა აქვს შემუშავებული მატერიალური მარაგების აფთიაქიდან სამედიცინო კაბინეტზე გადაცემის სააღრიცხვო პოლიტიკა და მატერიალური მარაგები აფთიაქიდან გაცემისთანავე ჩამოიწერება ხარჯებში; ასევე არ არსებობს ვადაგასული მედიკამენტების განადგურების (ჩამოწერის) წესი. შედეგად, იზრდება აღსარიცხავი ინფორმაციის სისრულესთან და სისწორესთან დაკავშირებული რისკები. სამინისტროს განმარტებით, მიმდინარე პერიოდში დაწყებულია შესაბამისი ღონისძიებები ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით.

მომსახურების სააგენტოში მატერიალური მარაგები და მცირეფასიანი აქტივები აღრიცხულია საწყობის მართვის ელექტრონულ სისტემაში - FMG SOFT-ში, ხოლო ბუღალტრულად აღრიცხვა წარმოებს ORIS-ის პროგრამის გამოყენებით, რაც იწვევს გახარჯული და ფაქტობრივად არსებულ ნაშთების თანხებს შორის სხვაობას.⁸⁵ რადგან სასაწყობო პროგრამით აღრიცხული მარაგები საშუალო შეწონილი მეთოდით გამოითვლება. შედეგად, იზრდება ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას აღსარიცხავი ინფორმაციის სიზუსტესთან დაკავშირებული რისკები. სააგენტოს განმარტებით, 2022 წელს მიმდინარეობს მუშაობა აღნიშნული ხარვეზის გამოსასწორებლად.

⁸³ დაცვის მომსახურება.

⁸⁴ საპატრულო პოლიციის მიერ წარმოდგენილ ბრუნვით უწყისში ანგარიშებს და ქვე-ანგარიშებს შორის დარღვეულია ჯამურობის პრინციპი.

⁸⁵ სააგენტოს მარაგების ხარჯებში ჩამოწერის გატარებებში ასახული და საწყობის მიერ გასავლის ზედდებულების თანხობრივი მაჩვენებლების შედარებით, გამოვლენილი სხვაობა - 22,072 ლარი.

2.3 განმარტებითი შენიშვნები

აპარატის ბალანსზე რიცხული 2005 წლამდე წარმოშობილი 8,191,658 ლარის დავალიანება, ასევე **თბილისის პოლიციის დეპარტამენტის** ბალანსზე რიცხული 1998 – 2005 წლებში წარმოქმნილი 1,460,269 ლარის დავალიანება წარმოადგენს გაუცემელ სახელფასო დავალიანებებს და მასთან დაკავშირებულ გადასახადებს.

2.3.1 სახელფასო ვალდებულება

სამინისტროს არ გააჩნია სახელფასო დავალიანების დაფარვის სამართლებრივი ვალდებულება. აღნიშნული დავალიანებები მაღალი ალბათობით ხანდაზმულია და არ აკმაყოფილებს ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმებს.⁸⁶

შინაგან საქმეთა სამინისტრო აღნიშნულ ვალდებულებას აღიარებს კონსტრუქციულ მოვალეობად,⁸⁷ რაც არ არის გამჟღავნებული ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ანგარიშგების მომხმარებლები არ არიან უზრუნველყოფილი შესაბამისი ინფორმაციით.

სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია სამინისტროს სტრუქტურული ერთეულების სასამართლო დავების შესახებ.

2.3.2 სასამართლო დავები

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია განმარტებით შენიშვნებში სასამართლო დავების შესახებ ინფორმაციის წარმოდგენა ან საჭიროების შემთხვევაში, შესაბამის მუხლში აღრიცხვა.⁸⁸

სამინისტროში არ არის შემუშავებული პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით, შესაბამისად არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

2.3.3 ძირითადი აქტივების გადაფასება

სამინისტროს აპარატმა, 2021 წელს განახორციელა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა მიწების გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 1,444,088 ლარით. **დაცვის პოლიციამ** 2021 წელს განახორციელა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 3,801,024 ლარით. **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურმა** 2021 წელს განახორციელა მის მფლობელობაში არსებული სხვადასხვა შენობის და მიწის გადაფასება, რის შედეგადაც აქტივების ღირებულება გაიზარდა 5,915,375 ლარით.

⁸⁶ 2017 წლის 1 ივლისს გაუქმდა 1997 წელს დამტკიცებული „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი, სადაც განსაზღვრული იყო 2005 წლის 1 იანვრამდე სამსახურიდან გათავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეზე კუთვნილი თანხის გაცემა, ხოლო ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი მსგავს ჩანაწერს აღარ ითვალისწინებს.

⁸⁷ სსპას 19 (მუხლი 18).

⁸⁸ სსპას 19 - ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები, პუნქტი 100.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია აქტივების გადაფასების თარიღისა და გადაფასებული ღირებულების შესახებ, რომლის წარდგენაც ფინანსური აღრიცხვის ინსტრუქციის⁸⁹ მიხედვით საჭიროა ძირითადი აქტივების რეალური ღირებულების ერთჯერადი განსაზღვრის შემთხვევაში.

2.4 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა აქტივი რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა აქტივი სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. ინვენტარიზაციის სრულყოფილად განხორციელება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენისთვის, აქტივების ეფექტიანი განკარგვისა და შიდა კონტროლის გასაუმჯობესებლად.

სამინისტროს ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულში 2021 წელს ინვენტარიზაციის პროცესი მიმდინარეობდა ნაკლოვანებებით, კერძოდ:

-) საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში 2021 წელს ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა და საბოლოო შედეგები არ არის დამტკიცებული;
-) სასაზღვრო პოლიციაში მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცესი არ დასრულებულა;
-) ჯანმრთელობის დაცვის სამსახურში ძირითადი აქტივების და სამედიცინო დანიშნულების მატერიალური მარაგების ინვენტარიზაცია 2021 წელს სრულყოფილად არ ჩატარებულა;
-) სამინისტროს აპარატში ინვენტარიზაცია სრულყოფილად არ ჩატარებულა.
-) „112“-სა და შსს-ს აკადემიაში 2021 წელს ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

სამინისტროს განმარტებით, ინვენტარიზაციასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები გამოწვეული იყო ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებით.

2.5 ინფორმაციული უსაფრთხოება

„კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეულები - ცენტრალური აპარატი, სასაზღვრო პოლიცია, „112“ და მომსახურების სააგენტო წარმოადგენს კრიტიკული ინფორმაციის სუბიექტებს.⁹⁰

⁸⁹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“. მუხლი N10 პუნქტი 26 (2021 წელს მოქმედი რედაქცია).

⁹⁰ 2014 წლის 29 აპრილის საქართველოს მთავრობის N312 დადგენილება „კრიტიკული ინფორმაციული სისტემის სუბიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

„ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2021 წლის მდგომარეობით, სამინისტროში არ იყო განსაზღვრული ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერი. ასევე, სამინისტროსა და საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს შორის, არ არის გამიჯნული ფუნქცია-მოვალეობები, რაც გარკვეული რისკების შემცველია.

2.6 სტრატეგიული მარაგები

მოქმედი კანონმდებლობით,⁹¹ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ობიექტების, აგრეთვე სახელმწიფო რეზერვის სისტემაში დასაგროვებელი მატერიალური ფასეულობების ნუსხას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარდგინებით, ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

სახელმწიფო რეზერვის სისტემის მართვა, ამ სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება წარმოადგენს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის განსაკუთრებულ კომპეტენციას. სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შექმნას, შენახვას და მართვასთან დაკავშირებულ სხვა ოპერაციებს ახორციელებს **საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის** მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ – სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტო.

აუდიტის შედეგად გამოვლინდა, რომ სამსახურში არ არის განსაზღვრული მატერიალური ფასეულობების ნომენკლატურა და მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის შემუშავება და რეზერვების შევსება მნიშვნელოვანია საქართველოს სამობილიზაციო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

სამინისტროს განმარტებით, მიმდინარეობს ღონისძიებები მატერიალური რეზერვების სახელმწიფო პოლიტიკის შესამუშავებლად.

2.7 ვალდებულებები

აპარატის ბალანსზე ირიცხება 2017 წელს წარმოქმნილი, 8,818,982 ლარის დავალიანება, რომელიც დაკავშირებულია ფინანსთა სამინისტროს სსიპ-საფინანსო ანალიტიკური სამსახურისგან Microsoft ლიცენზიების შესყიდვასთან. ვალდებულების დაფარვა ვერ განხორციელდა, ვინაიდან ბიუჯეტში შესაბამისი ასიგნებები არ ყოფილა გათვალისწინებული.

2.8 სააღრიცხვო პოლიტიკა

2.8.1 მარაგების ჩამოწერა

სასაზღვრო პოლიციაში არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. მიუხედავად იმისა, რომ ორგანიზაცია ახორციელებს კონტროლს გახარჯულ და ფაქტობრივად არსებულ ნაშთებზე, მატერიალური მარაგები საწყობიდან გასვლისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ ხდება მათი აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირზე ან მარაგების სახით. მაგალითად: სანაპირო დაცვის დეპარტამენტში საწვავის ჩამოწერა ხორციელდება მათი მცურავი საშუალებებისთვის მიწოდებისთანავე, მაშინ როდესაც 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 376,748 ლარის გაუხარჯავი საწვავი, შესაბამისად, განთავსებული იყო მცურავი საშუალებების ავზებში.

⁹¹ საქართველოს კანონი საქართველოს სახელმწიფო მატერიალური რეზერვების შესახებ.

სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის N3 და N5 სამმართველოების მიერ საკვები პროდუქტები ხარჯებში ჩამოიწერებოდა საწყობიდან სექტორზე გადაცემისთანავე და არა ფაქტობრივი მოხმარების მიხედვით, რის გამოც „მატერიალური მარაგების“ მუხლზე არ არის ასახული სექტორებში 2021 წლის ბოლოს ფაქტობრივად არსებული 203,662 ლარის საკვები პროდუქტები.⁹²

სასაზღვრო პოლიციის განმარტებით, 2022 წლიდან მიმდინარეობს აღნიშნული მარაგების აღრიცხვის ხარვეზის გამოსწორებასთან დაკავშირებით მუშაობა.

2.8.2 დროებით სარგებლობაში გადაცემისთვის განკუთვნილი აქტივების აღრიცხვა

დაცვის პოლიციის დეპარტამენტს არ აქვს შემუშავებული ობიექტების დაცვის განხორციელების მიზნით დამკვეთებისთვის დროებით სარგებლობაში გადასაცემად განკუთვნილი მოწყობილობების სააღრიცხვო პოლიტიკა.

2021 წელს დეპარტამენტის მიერ დროებით გადაცემული 899,282 ლარის ტექნიკა გაცემისთანავე ჩამოიწერა ხარჯებში⁹³ „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების“ მუხლზე, რომელზეც აისახება გაყიდული მატერიალური მარაგების საბალანსო ღირებულება, ხოლო დამკვეთების მიერ უკან დაბრუნებული 480,933 ლარის აქტივები ნაცვლად შემოსავლებისა, ასახულია როგორც მიმდინარე პერიოდის ხარჯების შემცირება. აღნიშნულ ოპერაციებთან დაკავშირებით სააღრიცხვო პრინციპების და წესების შემუშავება მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგების სწორად აღსაქმელად.

სამინისტროს მიერ 2021 წელს დაწყებულია ღონისძიებები⁹⁴ სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავების მიზნით.

2.9 სოციალური დახმარება

2021 წლის დეკემბერში სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით გაცემული⁹⁵ ერთჯერადი სოციალური დახმარებები, არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და დახმარების გაცემის მოტივი.

2.10 საწვავის ხარჯები

საწვავის ხარჯებთან დაკავშირებით ჩატარებული ანალიტიკური პროცედურების შედეგად, გამოვლინდა როგორც ერთჯერადად, ასევე დროის მცირე მონაკვეთებში ავტომანქანების ავზის მოცულობასთან შედარებით მეტი ოდენობით საწვავის ჩასხმის ფაქტები,⁹⁶ რაც ზრდის საწვავის არამიზნობრივად გამოყენების რისკებს.

⁹² N3 სამმართველოს მარაგების 2021 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 87,842 ლარით; N5 სამმართველოს 2021 წლის საბოლოო ნაშთი შემცირებულია 115,820 ლარით.

⁹³ ჩამოწერილი მარაგები ასახულია საცნობარო მუხლში „ხარჯებში ჩამოწერილი მარაგები ექსპლუატაციაში“, თუმცა ასეთი მატერიალური მარაგების აღრიცხვა ორგანიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკით არ იყო განსაზღვრული.

⁹⁴ ეკონომიკური დეპარტამენტის დირექტორის 2021 წლის 23 თებერვლის წერილი № MIA 4 21 00437417 სამინისტროს სტრუქტურულ ქვედანაყოფებს.

⁹⁵ სამინისტროს სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში 5,504 თანამშრომელზე გაიცა 3,886,948 ლარის სოციალური დახმარება.

⁹⁶ აუდიტორული პროცედურების შედეგად, არამიზნობრივად ხარჯვის რისკი გამოვლენილია 2,325 ლიტრ საწვავთან დაკავშირებით.

სამინისტროში სათანადო კონტროლის მექანიზმების არსებობა უზრუნველყოფდა საწვავის არამიზნობრივი გამოყენების შემთხვევების გამოვლენას და პრევენციას.

აღსანიშნავია, რომ სამინისტრომ აღნიშნული ფაქტის შესახებ 2021 წელს აცნობა⁹⁷ შინაგან საქმეთა სამინისტროს გენერალურ ინსპექციას და სამინისტროს პასუხისმგებელი პირების განმარტებით, გამოვლინდა პირთა ბრალეულობა, აღნიშნული თანამშრომლები გათავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობიდან.

2.11 შრომის ანაზღაურება

2021 წელს სამინისტროში „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულმა საკასო ხარჯმა 627,739,853 ლარი შეადგინა, რომლის სტრუქტურა წარმოდგენილია ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

ცხრილი N4. შრომის ანაზღაურებაზე გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა

დასახელება	თანხა	თანაფარდობა
თანამდებობრივი სარგო	495,328,718	79%
წოდებრივი სარგო	10,891,891	2%
პრემია	12,799,176	2%
დანამატი ⁹⁸	108,720,068	17%
სულ	627,739,853	

2.11.1 დანამატის დასაბუთებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,⁹⁹ საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ წლის განმავლობაში მიღებული **ფულადი ჯილდოს** საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 10%-ს, ხოლო **სახელფასო დანამატის** საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ პირის მიერ დაკავებული თანამდებობის/პოზიციის თანამდებობრივი სარგოს წლიური ოდენობის 20%-ს.

⁹⁷ 2021 წლის 23 სექტემბრის წერილი № MIA 1 21 02520491.

⁹⁸ აღნიშნული თანხიდან, მნიშვნელოვან წილს სამხედრო და სპეციალური წოდების მქონე პირებისთვის კანონით მინიჭებულ დანამატები შეადგენს. (წელთა ნამსახურება, წოდება, მრავალშვილიანობა და სხვ.).

⁹⁹ 28-ე მუხლი.

ამასთანავე, აღნიშნული შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე,¹⁰⁰ როდესაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირის მიერ დამატებითი ანაზღაურების მისაღებად დასაკმაყოფილებელი კრიტერიუმები (მათ შორის, ნამსახურები წლები) და დანამატის ოდენობა განსაზღვრულია შესაბამისი ნორმატიული აქტით ან/და „საიდუმლო“ გრიფის მქონე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.¹⁰¹

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით¹⁰², სახელფასო დანამატი წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის მიერ ზეგანაკვეთური სამუშაოს ან/და დამატებითი ფუნქციების შესრულებისათვის, მათ შორის, ღამის საათებში, დასვენების/უქმე დღეს და ჯანმრთელობისათვის რისკის შემცველ სამუშაო პირობებში საქმიანობისათვის განსაზღვრულ თანხას.

სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ ზოგიერთ თანამშრომელს, 2021 წლის 1 იანვრიდან, წინასწარ, მთელი წლის განმავლობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის შესაბამისი ბრძანებებით, დაენიშნა ყოველთვიური დანამატი.¹⁰³ ზეგანაკვეთური სამუშაო რეჟიმი დამახასიათებელია¹⁰⁴ სამინისტროს სისტემისთვის, თუმცა დანამატის გაცემა არ იყო სათანადოდ დასაბუთებული.

სამინისტროს განმარტებით, პროგრამულ უზრუნველყოფას დაემატა ახალი მოდული, რომელიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ზღვრების კონტროლს.

2.11.2 ფულადი ჯილდოს დასაბუთებასთან დაკავშირებული ნაკლოვანებები

„საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით,¹⁰⁵ ფულადი ჯილდო წარმოადგენს საჯარო დაწესებულებაში დასაქმებული პირის (გარდა მოხელისა) მიერ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ზედმიწევნით და სანიმუშოდ შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისათვის ან/და მის მიერ განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის გათვალისწინებულ წახალისების საშუალებას.

¹⁰⁰ პირველი მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი.

¹⁰¹ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემის სამხედრო ან სპეციალური წოდების მქონე პირისთვის სახელფასო დანამატი შეიძლება დამატებით გაიცეს ამ კანონის 28-ე მუხლით დადგენილი ფულადი ჯილდოს ზღვრული ოდენობის ფარგლებში, იმ პირობით, რომ შესაბამისი პირის მიერ მიღებული სახელფასო დანამატი და ფულადი ჯილდო ჯამურად ამ კანონის 26-ე და 28-ე მუხლებით დადგენილ ზღვრულ ოდენობას არ გადააჭარბებს.

¹⁰² მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁰³ თანხამ წლის განმავლობაში 10,475,464 ლარი შეადგინა და ნაწილდება სამინისტროში სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულების 7184 თანამშრომელზე.

¹⁰⁴ „პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის 52-ე მუხლი.

¹⁰⁵ მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

2021 წლის მარტსა და დეკემბერში სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებში გაცემული ფულადი ჯილდო¹⁰⁶ არ არის საკმარისად დასაბუთებული, ვინაიდან არ არის სათანადოდ დოკუმენტირებული ბრძანების საფუძველი და ფულადი ჯილდოს გაცემის მოტივი.

2.12 სამშენებლო მიმართულებით გამოვლენილი ნაკლოვანებები

აუდიტის ჯგუფმა შეისწავლა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ განხორციელებული სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების შესყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.¹⁰⁷

მშენებლობის¹⁰⁸ შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის საპროექტო დოკუმენტაციისთან შედარებით, ასევე, ადგილზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურების შედეგად, გარკვეულ პოზიციებთან მიმართებით, გამოვლინდა სამუშაოთა შესასრულებლად საჭირო დანახარჯების დაანგარიშების და მათი შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტაციის ნაკლოვანებები, რაც მიუთითებს კონტროლის სისტემის გაუმჯობესების პოტენციალზე.¹⁰⁹

¹⁰⁶ 2021 წლის მარტში 5,360 თანამშრომელზე გაცემულია 696,540 ლარის ფულადი ჯილდო, ხოლო დეკემბერში 27,886 ერთეულზე 8,285,400 ლარი.

¹⁰⁷ საპროექტო დოკუმენტაციები, სატენდერო დოკუმენტური აქტები, შესრულებული სამუშაოების აქტები (ფორმა N2).

¹⁰⁸ 8 ხელშეკრულება - პოლიციის შენობები, საცხოვრებელი სახლები და სახანძრო-სამაშველო შენობები (კრწანისი (თბილისი), წალენჯიხა, ჩხოროწყუ, გურჯაანი, ბათუმი, აბასთუმანი, თბილისის 1 ობიექტი, წალკა. პოზიციებთან დაკავშირებული თანხობრივი მაჩვენებელი სულ 242,059 ლარი. წალკის ობიექტის სამუშაოების შესყიდვა და მასზე ზედამხედველობა განხორციელებულია შსს სტრატეგიული მილსადენების დაცვის დეპარტამენტის მიერ, ხოლო სხვა დანარჩენი სამუშაოების - შსს ცენტრალური აპარატის მიერ.

¹⁰⁹ ობიექტის განმარტებით, არსებული სხვაობები გამოწვეულია შემდეგი გარემოებებით:

კრწანისი (თბილისი) - კონტრაქტორი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების შედეგად ხელშეკრულების შეწყვეტის გამო, შესრულებული სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) დადასტურებული მოცულობების ხელშეკრულებაში ცვლილების სახით შეტანა შეუძლებელი გახდა; ბეტონის სამუშაოები შესრულებულია უფრო დიდ ფართობზე, ვიდრე გათვალისწინებულია კონსტრუქციული პროექტით; არმატურის სამუშაოებისას გამოყენებულია უფრო დიდი დიამეტრის არმატურა და მოწყობილია დამატებითი გაძლიერების ფენები; მიწის (გრუნტის) სამუშაოთა პოზიციების დასახელებები შესრულებულ სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ფორმულირებულია ტექნიკურად შეუსაბამო შინაარსით.

წალენჯიხა - ბეტონის სამუშაოები შესრულებულია უფრო დიდ ფართობზე, ვიდრე დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა N2); არმატურის სამუშაოებისას მოწყობილია დამატებითი გაძლიერების ფენები და დეტალები.

გურჯაანი - არმატურის სამუშაოებისას მოწყობილია დამატებითი გაძლიერების ფენები, მიწის (გრუნტის) სამუშაოთა პოზიციების დასახელებები შესრულებულ სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ფორმულირებულია ტექნიკურად შეუსაბამო შინაარსით.

ბათუმი - არმატურის სამუშაოებისას მოწყობილია დამატებითი გაძლიერების ფენები.

ჩხოროწყუ - არმატურის სამუშაოები მოწყობილია უფრო დიდ ფართობზე, ვიდრე დაფიქსირებულია შესრულებული სამუშაოების აქტში (ფორმა N2); ბეტონის სამუშაოები შესრულებულია უფრო მეტი პარამეტრებით, ვიდრე გათვალისწინებულია კონსტრუქციული პროექტით, მიწის (გრუნტის) სამუშაოთა პოზიციების დასახელებები შესრულებულ სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ფორმულირებულია ტექნიკურად შეუსაბამო შინაარსით, ბალსტის სამუშაო შესრულებულია უფრო სივრცეზე, ვიდრე ნაჩვენებია კონსტრუქციულ ნახაზში.

აბასთუმანი - მიწის (გრუნტის) სამუშაოთა პოზიციების დასახელებები შესრულებულ სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ფორმულირებულია ტექნიკურად შეუსაბამო შინაარსით, არმატურის სამუშაოებისას მოწყობილია დამატებითი გაძლიერების ფენები.

თბილისი (ქიზიყის ქუჩა) - მიწის (გრუნტის) სამუშაოთა პოზიციების დასახელებები შესრულებულ სამუშაოების აქტებში (ფორმა N2) ფორმულირებულია ტექნიკურად შეუსაბამო შინაარსით, ლითონის მილკვადრატების სამუშაოთა ანაზღაურება მოხდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულთან შედარებით უფრო მაღალი ფასებით, ვინაიდან წარმოადგენდა დამატებით სამუშაოს და ანაზღაურდა ფაქტური დანახარჯების მეთოდით.

3. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2020 წლის 5 მაისის N108 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;
- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;
- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;
- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;
- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;
- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

ხელმოწერა

ანა ზავრაშვილი

უფროსი აუდიტორი

ვალერი სანაია

წამყვანი აუდიტორი

ზოია შიშინაშვილი

აუდიტორი

მაკა დიხამინჯია

აუდიტორი

გიორგი ხარატიშვილი

აუდიტორი

ნიკოლოზ ქაჯაია

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

თორნიკე კაპანაძე

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

ვიქტორია დანიელოვა

უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

მარიამ ერაძე

აუდიტორ-ასისტენტი

ანა ზავრაშვილი

ვ. სანაია

ზ. შიშინაშვილი

მაკა დიხამინჯია

გიორგი ხარატიშვილი

ნიკოლოზ ქაჯაია

თ. კაპანაძე

ვ. დანიელოვა

მ. ერაძე

**კონსოლიდირებული
ერთეულები**

2021 წლის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულია შემდეგი კომპონენტების ფინანსური ანგარიშგებები:	
/ სამინისტროს აპარატი	
/ საპატრულო პოლიციის დეპარტამენტი	
/ ქ. თბილისის პოლიციის დეპარტამენტი	
/ საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური	
/ საქვეუწყებო დაწესებულება - სასაზღვრო პოლიცია	
/ სსიპ - დაცვის პოლიციის დეპარტამენტი	
/ სსიპ - მომსახურების სააგენტო	
/ სსიპ - შსს-ს აკადემია	
/ სსიპ - ჯანმრთელობის დაცვის სამსახური	
/ სსიპ - საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“	
/ აჭარის ა/რ პოლიციის დეპარტამენტი	
/ აფხაზეთის ა/რ პოლიციის დეპარტამენტი	
/ მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტი	
/ ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტი	
/ შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტი	
/ სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი	
/ კახეთის პოლიციის დეპარტამენტი	
/ იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი	
/ გურიის პოლიციის დეპარტამენტი	
/ სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტი	

**ფინანსური ანგარიშგების
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები**

-) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში;
-) ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში;
-) წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილების შესახებ ანგარიშგება;
-) ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში;
-) ფინანსური ანგარიშგების დანართები და ახსნა-განმარტებითი
შენიშვნები.

2021 წელი

პერიოდი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

ორგანიზაცია

30 00

პროგრამული კოდი

მესროლეძე

მემსრულებელი

ხელმოწერა

მია ჭედაძე


დირექტორი

ხელმოწერა

ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	საანგარიშგებო წელი 2021წ	საანგარიშგებო წლის წინა წელი 2020წ
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
001	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	77,139,247.00	60,726,129.00
002	მიმდინარე ინვესტიციები	-	-
003	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	58,684,836.00	53,975,176.00
004	მატერიალური მარაგები	149,775,855.00	144,961,252.00
005	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები	34,628,939.00	44,279,519.00
006	სულ მოკლევადიანი აქტივები	320,228,877.00	303,942,076.00
გრძელვადიანი აქტივები			
007	გრძელვადიანი ფინანსური აქტივები	-	-
008	ძირითადი აქტივები	1,343,086,322.00	1,279,870,411.00
009	საინვესტიციო ქონება	-	-
010	არამატერიალური აქტივები	11,831,444.00	12,317,780.00
011	შეღავათიანი მომსახურების აქტივები	-	-
012	ფინანსური იჯარით მიღებული აქტივები	-	-
013	სხვა გრძელვადიანი არაფინანსური აქტივები	19,007,234.00	27,310,250.00
014	სულ გრძელვადიანი აქტივები	1,373,925,000.00	1,319,498,441.00
015	სულ აქტივები	1,694,153,877.00	1,623,440,517.00
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
015	მოკლევადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	-	-
016	მოკლევადიანი ნასესხები თანხები	-	-
017	მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები, გარდა პროცენტისა	41,661,191.00	39,575,213.00
018	გადასახდელი პროცენტი	-	-
019	მიმდინარე ანარიცხები	-	-
020	სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	834,706.00	777,841.00
021	ვალდებულებები დეპოზიტებით	1,000.00	1,000.00
022	ვალდებულებები აქციებით და სხვა კაპიტალით	-	-
023	სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	42,496,897.00	40,354,054.00
გრძელვადიანი ვალდებულებები			
024	გრძელვადიანი ვალდებულებები ფასიანი ქაღალდებით	-	-
025	გრძელვადიანი ნასესხები თანხები	-	-
026	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფინანსური იჯარით	-	-
027	შეღავათიანი მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	-	-
028	გრძელვადიანი ანარიცხები	-	-
029	გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანებები	31,907,100.00	-
030	სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	31,907,100.00	-
031	სულ ვალდებულებები	74,403,997.00	40,354,054.00
წმინდა აქტივები/კაპიტალი			
032	კაპიტალში შენატანები	-	-
033	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი	1,619,749,880.00	1,583,086,463.00
034	სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი	1,619,749,880.00	1,583,086,463.00
035	სულ ვალდებულებები და წმინდა აქტივები/კაპიტალი	1,694,153,877.00	1,623,440,517.00

ადრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება

	მუხლები	საანგარიშგებო წელი 2021წ			საანგარიშგებო წლის წინა წელი 2020წ
		საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	სულ
შემოსავლები					
001	საგადასახადო შემოსავლები				
002	სოციალური შენატანები				
003	შემოსავლები სანქციებით, ჯარიმებით და საურავებით	4,118,598.00	389,147.00	4,507,745.00	6,767,470.00
004	შემოსავლები გრანტებით	27,753,452.00	102,635.00	27,856,087.00	29,029,489.00
005	შემოსავლები გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ	813,661.00	3,153,387.00	3,967,048.00	7,218,079.00
006	შემოსავლები შიდა ტრანსფერებით	788,905,691.00	-	788,905,691.00	765,835,618.00
007	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან გარდა პროცენტ	228,562.00	253,605,602.00	253,834,164.00	195,173,677.00
008	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული მოგე	-	-	-	0.00
009	საპროცენტო შემოსავლები	5,400.00	8,222,111.00	8,227,511.00	6,410,370.00
010	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულე	12,179,295.00	9,699,083.00	21,878,378.00	
011	სხვადასხვა შემოსავლები	60,206.00	174,561.00	234,767.00	212,121,601.00
012	სულ შემოსავლები	834,064,865.00	275,346,526.00	1,109,411,391.00	1,222,556,304.00
ხარჯები					
012	შრომის ანაზღაურების ხარჯები	526,852,176.00	101,192,048.00	628,044,224.00	591,525,471.00
013	საქონელი და მომსახურება	223,573,960.00	39,290,199.00	262,864,159.00	208,168,856.00
014	გრანტები, ტრანსფერები და სუბსიდიები	40,793,502.00	33,149,122.00	73,942,624.00	57,999,963.00
015	შიდა ტრანსფერებით ხარჯები	1,959,319.00	-	1,959,319.00	2,619,912.00
016	ცვეთა და ამორტიზაცია	73,835,342.00	11,910,075.00	85,745,417.00	86,323,189.00
018	სოციალური დახმარება/უზრუნველყოფა	13,966,759.00	2,718,183.00	16,684,942.00	14,158,256.00
019	გრძელვადიანი აქტივების გაყიდვებიდან მიღებული ზარა	-	-	-	0.00
020	ფინანსური ხარჯები (საპროცენტო ხარჯები)				
021	საექვო (უიმედო) მოთხოვნების/გაუფასურების/ღირებულე	1,992,388.00	1,469,791.00	3,462,179.00	464,624.00
022	სხვადასხვა ხარჯები	24,237.00	20,873.00	45,110.00	39,506,471.00
023	სულ ხარჯები	882,997,683.00	189,750,291.00	1,072,747,974.00	1,000,766,742.00
024	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)	(48,932,818.00)	85,596,235.00	36,663,417.00	221,789,562.00

აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი

ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილებების შესახებ ანგარიშგება


საანგარიშგებო წელი 2021 წ

კოდი		კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი	-	1,427,636,367.00	158,474,494.00	1,586,110,861.00
11	საადრინგვო პოლიტიკის ცვლილებები				-
12	არსებითი შეცდომების კორექტორები (წინა პერიოდების შეცდომები)		(2,531,158.00)	(493,240.00)	(3,024,398.00)
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	1,425,105,209.00	157,981,254.00	1,583,086,463.00
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	-	(48,932,818.00)	85,596,235.00	36,663,417.00
15	დამფუძნებლების შენატანები				
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		(48,932,818.00)	85,596,235.00	36,663,417.00
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები				
18	საბოლოო ნაშთი	-	1,376,172,391.00	243,577,489.00	1,619,749,880.00

საანგარიშგებო წლის წინა წელი 2020 წ

კოდი		კაპიტალში შენატანები	გაუნაწილებელი ნამეტი/დეფიციტი		სულ წმინდა აქტივები/კაპიტალი
			საბიუჯეტო სახსრები	საკუთარი სახსრები	
10	საწყისი ნაშთი		1,219,002,828.00	145,233,843.00	1,364,236,671.00
11	საადრინგვო პოლიტიკის ცვლილებები				-
12	არსებითი შეცდომების კორექტორები (წინა პერიოდების შეცდომები)		84,628.00	0.00	84,628.00
13	გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	-	1,219,087,456.00	145,233,843.00	1,364,321,299.00
14	წმინდა აქტივების/კაპიტალის ცვლილება	-	208,548,911.00	13,240,651.00	221,789,562.00
15	დამფუძნებლების შენატანები				
16	პერიოდის ნამეტი (დეფიციტი)		208,548,911.00	13,240,651.00	221,789,562.00
17	დამფუძნებლებზე გადახდილი თანხები				
18	საბოლოო ნაშთი	-	1,427,636,367.00	158,474,494.00	1,586,110,861.00

აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი:
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:



ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება						
საანგარიშგებო წელი 2021წ						
		შენიშვნა	დამტკიცებული ბიუჯეტი (საწყისი)	დაზუსტებული ბიუჯეტი (საბოლოო)	ბიუჯეტის შესრულება	შესრულება (%)
შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)						
სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები						
10	გადასახადები					0%
11	გრანტები					0%
12	სხვა შემოსავლები					0%
13	არაფინანსური აქტივების შემცირება					0%
14	ფინანსური აქტივების შემცირება					0%
15	ვალდებულებების ზრდა					0%
16	სულ სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები (შემოსული თანხები, მიღებები)		-	-	-	0%
გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები)						
17	შრომის ანაზღაურება		525,200,000.00	526,615,880.00	526,543,591.00	100%
18	საქონელი და მომსახურება		173,449,000.00	177,289,907.00	180,087,555.00	102%
19	პროცენტი		0.00	0.00	0.00	0%
20	სუბსიდიები		0.00	0.00	0.00	0%
21	გრანტები		150,000.00	477,138.00	477,113.00	100%
22	სოციალური დახმარება		10,000,000.00	13,986,998.00	13,963,881.00	100%
23	სხვა ხარჯები		28,329,200.00	23,550,452.00	23,609,778.00	100%
24	არაფინანსური აქტივების ზრდა		42,954,000.00	43,379,624.00	44,223,773.00	102%
25	ფინანსური აქტივების ზრდა		0.00	0.00	0.00	0%
26	ვალდებულებების შემცირება		0.00	0.00	0.00	0%
27	სულ გაცემული თანხები (გაცემები, გადახდები, გასვლები) სახელმწიფო ბიუჯეტიდან		780,082,200.00	785,299,999.00	788,905,691.00	100%
28	სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი	N21				

აღრიცხვისა და ანგარიშგების სამმართველოს უფროსი:
ორგანიზაციის ხელმძღვანელი:

ა. გ. გ.

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მისაღები თანხები (დებიტორები)							
კოდი	მუხლები	2021წ			2020წ		
		მთლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საექვსო მოთხოვნების ანარიცხები	საბალანსო ღირებულება	მთლიანი საბალანსო ღირებულება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საექვსო მოთხოვნების ანარიცხები	საბალანსო ღირებულება
010	მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-	-
020	მოკლევადიანი სესხები 1-12-1000			-			-
030	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი 1-12-2000			-			-
040	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი 1-12-3000			-			-
050	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა 1-12-4000			-			-
060	სხვა მიმდინარე ინვესტიციები 1-12-9000			-			-
010	მიმდინარე დებიტორული დავალიანება (დებიტორები)	58,684,836.00	-	58,684,836.00	53,975,176.00	-	53,975,176.00
020	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-1000	9,383,166.00		9,383,166.00	7,421,392.00		7,421,392.00
030	გადასახადებიდან მისაღები თანხები 1-13-2000	468,376.00	-	468,376.00	985,082.00	-	985,082.00
040	სამომსავლო გადასახადი 1-13-2100	279,513.00		279,513.00	263,879.00		263,879.00
050	მოგების გადასახადი 1-13-2200	62,195.00		62,195.00	70,320.00		70,320.00
060	ქონების გადასახადი 1-13-2300	19,724.00		19,724.00	100,080.00		100,080.00
070	დღგ 1-13-2400	106,677.00		106,677.00	550,536.00		550,536.00
080	სააქციზო გადასახადი 1-13-2500	-		-	-		-
090	იმპორტის გადასახადი 1-13-2600	-		-	-		-
100	სხვა გადასახადები 1-13-2700	267.00		267.00	267.00		267.00
110	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში 1-13-3000	4,078.00		4,078.00	2,751.00		2,751.00
120	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით (ჯარიმებით) 1-13-4000	12,345,972.00		12,345,972.00	9,280,720.00		9,280,720.00
130	მისაღები დივიდენდები 1-13-5000	-		-	-		-
140	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000	32,123,928.00		32,123,928.00	31,282,275.00		31,282,275.00
150	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000	3,368,185.00		3,368,185.00	3,490,397.00		3,490,397.00
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით) 1-13-8100	-		-	-		-
170	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000	991,131.00		991,131.00	1,512,559.00		1,512,559.00
230	მ. შ მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500	-		-	-		-
240	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები	58,684,836.00	-	58,684,836.00	53,975,176.00	-	53,975,176.00

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები					
სტრიქონი ს კოდი	დასახელება	მთლიანი საბალანსო ღირებულება			
		საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი 2020წ	ზრდა	კლება	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 2021წ
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები					
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები	7,421,392.00	9,232,016.00	7,270,242.00	9,383,166.00
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები	985,082.00	46,756.00	563,462.00	468,376.00
090	საშემოსავლო გადასახადი	263,879.00	46,336.00	30,702.00	279,513.00
100	მოგების გადასახადი	70,320.00	-	8,125.00	62,195.00
110	ქონების გადასახადი	100,080.00	-	80,356.00	19,724.00
120	დღგ	550,536.00	420.00	444,279.00	106,677.00
130	სააქციზო გადასახადი	-	-	-	-
140	იმპორტის გადასახადი	-	-	-	-
150	სხვა გადასახადები	267.00	-	-	267.00
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში 1-13-3000	2,751.00	1,432.00	105.00	4,078.00
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები ღარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით 1-13-4000	9,280,720.00	3,709,017.00	643,765.00	12,345,972.00
180	მისაღები დივიდენდები 1-13-5000	-	-	-	-
190	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000	31,282,275.00	1,552,872.00	711,219.00	32,123,928.00
200	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000	3,490,397.00	980,790.00	1,103,002.00	3,368,185.00
210	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გაცვლით (გაყიდვით) 1-13-8000	-	-	-	-
220	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000	1,512,559.00	348,372.00	869,800.00	991,131.00
230	მ. შ მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500	-	-	-	-
240	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები	53,975,176.00	15,871,255.00	11,161,595.00	58,684,836.00

შენიშვნა N2ა მიმდინარე ინვესტიციები და მოკლევადიანი დებიტორული დავალიანებები						
სტრიქონი ს კოდი	დასახელება	აკუმულირებული გაუფასურების ზარალი/საექვო მოთხოვნების ანარიცხები				
		საანგარიშგებო პერიოდის საწყისი ნაშთი 2020წ	წლის გაუფასურების ზარალი/საექვო და უიმელო მოთხოვნების ზარალი	უკუგაბარებით წარმოქმნილი ღირ მემოსავალი	აქტივების რეკლასიფიცირებისას მიღებული ან ანულირებული	საანგარიშგებო პერიოდის საბოლოო ნაშთი 2021წ
მიმდინარე ინვესტიციები						
010	მოკლევადიანი სესხები	-				-
020	გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	-				-
030	ფინანსური იჯარიდან მისაღები თანხების მიმდინარე ნაწილი	-				-
040	მოკლევადიანი (მიმდინარე) ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	-				-
050	სხვა მიმდინარე ინვესტიციები	-				-
060	სულ მიმდინარე ინვესტიციები	-	-	-	-	-
მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები						
070	სახაზინო ოპერაციებთან დაკავშირებული მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები					-
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) საგადასახადო დებიტორული დავალიანებები	-	-	-	-	-
090	საშემოსავლო გადასახადი					-
100	მოგების გადასახადი					-
110	ქონების გადასახადი					-
120	დღგ					-
130	სააქციზო გადასახადი					-
140	იმპორტის გადასახადი					-
150	სხვა გადასახადები					-
160	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები საპენსიო სქემაში 1-13-3000					-
170	მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები დარიცხული პროცენტებით და ჯარიმებით 1-13-4000					-
180	მისაღები დივიდენდები 1-13-5000					-
190	საქონლისა და მომსახურების გაყიდვებიდან მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები 1-13-6000					-
200	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები თანამშრომლებისა და ანგარიშვალდებული პირების მიმართ 1-13-7000					-
210	მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გასვლით (გაყიდვით) 1-13-8000					-
220	სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-13-9000					-
230	მ. შ მოკლევადიანი (მიმდინარე) ფულადი მოთხოვნები არაგაგვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-13-9500					-
240	სულ მოკლევადიანი (მიმდინარე) დებიტორული დავალიანებები და მოთხოვნები		-	-	-	-

შენიშვნა N3 მატერიალური მარაგები

კოდი	მუხლები	2021წ			2020წ		
		ღირებულება *	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება	ღირებულება *	აკუმულირებული ღირებულების შემცირება	საბალანსო ღირებულება
მატერიალური მარაგები							
020	წვდომადი და მასალები 1-14-1100	8,332,950.00	-	8,332,950.00	4,849,866.00	-	4,849,866.00
030	სხვა მასალები და მარაგები 1-14-1400	141,442,905.00	-	141,442,905.00	140,111,386.00	-	140,111,386.00
040	მიგრუფასიანი აქტივები 1-14-1410	32,316,289.00	-	32,316,289.00	32,079,445.00	-	32,079,445.00
070	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420	109,126,616.00	-	109,126,616.00	108,031,941.00	-	108,031,941.00
100	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000	-	-	-	-	-	-
110	მზა პროდუქცია 1-14-3000	-	-	-	-	-	-
120	გაყიდვის მიზნით ფლობილი (ფლობაში არსებული) საქონელი	-	-	-	-	-	-
130	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000	-	-	-	-	-	-
140	სულ	149,775,855.00	-	149,775,855.00	144,961,252.00	-	144,961,252.00

კოდი	მატერიალური მარაგების თვითღირებულება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	შესყიდვა წინა წლების ავანსების შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	მიღება				
					გრანტებით	გარე ტრანსფერებით, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	სხვადასხვა შემოსავალი **	დანაკლისის აღდგენით	სხვა მიღებები***
მატერიალური მარაგები									
020	წვდომადი და მასალები 1-14-1100	4,849,866.00	-	7,730,569.00		120,227.00			
030	სხვა მასალები და მარაგები1-14-1400	140,111,386.00	3,164,433.00	117,954,494.00	2,886,750.00	459,691.00	423,589.00	79,907.00	319,419.00
040	მიგრუფასიანი აქტივები 1-14-1410	32,079,445.00	970,743.00	3,250,342.00	389,987.00	120,734.00	16,841.00	-	295,882.00
070	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420	108,031,941.00	2,193,690.00	114,704,152.00	2,496,763.00	338,957.00	406,748.00	79,907.00	23,537.00
100	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000								
110	მზა პროდუქცია 1-14-3000								
120	გაყიდვის მიზნით ფლობილი (ფლობაში არსებული) საქონელი 1-14-4000								
130	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000								
140	სულ	144,961,252.00	3,164,433.00	125,685,063.00	2,886,750.00	579,918.00	423,589.00	79,907.00	319,419.00

კოდი	დასახელება	მატერიალური მარაგების ღირებულების შემცირება 5-92-0000					
		საწყისი ნაშთი	წლის ღირებულების შემცირების ხარჯები *****	გაყვლისას ანუღირებული	მიღებული აკუმულირებული ღირებულების შემცირება	აქტივების რეკლასიფიცირებისას მიღებული ან ანულირებული (+/-)	საბოლოო ნაშთი
მატერიალური მარაგები							
020	წვდომადი და მასალები 1-14-1100					-	-
030	სხვა მასალები და მარაგები1-14-1400		-	-	-	-	-
040	მიგრუფასიანი აქტივები 1-14-1410						-
070	სხვა დანარჩენი მასალები და მარაგები 1-14-1420						-
100	დაუმთავრებელი წარმოება 1-14-2000						-
110	მზა პროდუქცია 1-14-3000						-
120	გაყიდვის მიზნით ფლობილი (ფლობაში არსებული) საქონელი 1-14-4000						-
130	სამხედრო მატერიალური მარაგები 1-14-5000						-
140	სულ	-	-	-	-	-	-

სასაქონლო ფორმით ანაზღაურებ ით	საქონელი და მომსახურებით	სუბსიდიები თ	გრანტებით	სოციალური დახმარებებით	დანაკლისით	გარე ტრანსფერები თ, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირე ბული	სხვადასხვა ხარჯებით**	სხვა გასვლებით***	ნაშთი წლის(პერიოდისთვ ის) ბოლოს
	4,367,712.00								-
-	121,937,912.00	-	1,395,099.00	-	90,029.00	-	221,647.00	312,077.00	8,332,950.00
	4,373,013.00		426.00	-	3,154.00	0	119015	312,077.00	141,442,905.00
	117,564,899.00		1,394,673.00	-	86,875.00	-	102,632.00		32,316,289.00
									109,126,616.00
									-
									-
									-
									-
-	126,305,624.00	-	1,395,099.00	-	90,029.00	-	221,647.00	312,077.00	149,775,855.00

შენიშვნა N4 სხვა მოკლევადიანი (მიმდინარე) აქტივები			
კოდი	მუხლები	2021წ	2020წ
010	წინასწარი გადახდები 1-15-1000	21,261,484.00	30,947,743.00
020	წინასწარი გადახდები საქონლისა და მომსახურებისათვის 1-15-1100	4,543,117.00	17,639,950.00
030	წინასწარი გადახდები არაფინანსური აქტივებისათვის 1-15-1200	8,914,512.00	13,009,353.00
040	წინასწარი გადახდები გადასახდელებით 1-15-1300 (2821 მუხლიდან)	7,803,855.00	298,440.00
050	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების გადაცემით 1-15-2000	-	-
060	ბარტერული ოპერაციებიდან მისაღები აქტივებით მოკლევადიანი (მიმდინარე) მოთხოვნები 1-15-3000	-	-
070	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაგაცვლით ოპერაციებთან დაკავშირებით 1-15-4000	-	-
080	მოკლევადიანი (მიმდინარე) არაფულადი მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისით 1-15-5000	13,367,455.00	13,331,776.00
090	სულ	34,628,939.00	44,279,519.00

		საანგარიშგებო წელი 2021წ				შენიშვნა N6 ძირითადი აქტივები			
	ძირითადი აქტივები	საანგარიშგებო წელი 2021წ				საანგარიშგებო წლის წინა წელი 2020წ			
		დირებულება *	დაგროვილი ცვტა	დაგროვილი გაუფასურება	საბალანსო დირებულება	დირებულება *	დაგროვილი ცვტა	დაგროვილი გაუფასურება	საბალანსო დირებულება
010	შენობა-ნაგებობები საკუთარი მიწებისათვის გამოსაყენებლად 1-22-1000	859,463,217.00	19,200,597.00	-	840,262,620.00	827,329,759.00	9,116,600.00	-	818,213,159.00
020	საგზოვრებელი სახლები 1-22-1100	3,024,294.00	102,271.00	-	2,922,023.00	3,095,529.00	54,575.00	-	3,040,954.00
030	არასაგზოვრებელი დანიშნულების შენობები 1-22-1200	449,703,053.00	12,429,534.00	-	437,273,519.00	429,461,004.00	5,810,020.00	-	423,650,984.00
040	სხვა ნაგებობები 1-22-1300	80,154,394.00	6,668,792.00	-	73,485,602.00	72,664,022.00	3,252,005.00	-	69,412,017.00
050	მიწის გაუმჯობესება 1-22-1400	-	-	-	-	-	-	-	-
060	მიწა 1-22-1500	326,581,476.00	-	-	326,581,476.00	322,109,204.00	-	-	322,109,204.00
070	მანქანა-დანადგარები 1-22-2000	637,116,304.00	134,292,602.00	-	502,823,702.00	531,246,029.00	69,588,777.00	-	461,657,252.00
080	სატრანსპორტო მოწყობილობა 1-22-2100	423,261,479.00	97,827,240.00	-	325,434,239.00	354,219,528.00	51,032,208.00	-	303,187,320.00
090	სხვა მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 1-22-2200	212,262,353.00	36,418,132.00	-	175,844,221.00	175,433,710.00	18,531,497.00	-	156,902,213.00
100	სხვა ძირითადი აქტივები 1-22-3000	1,592,472.00	47,230.00	-	1,545,242.00	1,592,791.00	25,072.00	-	1,567,719.00
110	სულ	1,496,579,521.00	153,493,199.00	-	1,343,086,322.00	1,358,575,788.00	78,705,377.00	-	1,279,870,411.00

კოდი	ძირითადი აქტივების თვითღირებულება	ნაშთი წლის დასაწყისისათვის	მიღება						
			შესყიდვა წლების აკუმულაციის შემცირებით	შესყიდვა მიმდინარე პერიოდის	არსებითი გაუმჯობესებით	გრანტებით	გარე ტრანსფერებით - რომლებიც სხვაგან არ არის აღსანიშნავი	დანაკლისის აღდგენით	სხვადასხვა შემოსავლებით **
